ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
კურიკულუმი

დაწესებულების დასახელება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)** **Political Science (Major and Minor)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	**პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი** **Bachelor of Political Science**
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი): • ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი • თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი • თავისუფალი კომპონენტი: დამატებითი სპეციალობა ან თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფესორი გიორგი ნოდია
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია, მოამზადოს პოლიტიკის მეცნიერებების კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი ქვედარგების (საერთაშორისო ურთიერთობების, საჯარო და შედარებითი პოლიტიკის და პოლიტიკის თეორიის), პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პროცესების შესახებ ფართო ცოდნა და შეძლებს პოლიტიკური მოვლენის/ფენომენის ანალიზს, ინტერპრეტაციასა და ახსნას პოლიტიკური მეცნიერების პრიზმიდან, შესაბამისი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. .

პროგრამა ასევე ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიცაა კრიტიკული ანალიზის, არგუმენტაციისა და მსჯელობის, ქართულ და უცხოურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის,, ინდივიდუალურად და გუნდში ეფექტიანად მუშაობის უნარები.

სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. ავლენს ფართო ცოდნას პოლიტიკის მეცნიერების საფუძვლებისა და ძირითადი ცნებების შესახებ;
2. ავლენს ფართო ცოდნას პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი ქვედარგების (პოლიტიკის თეორია, საჯარო პოლიტიკა, შედარებითი პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები), მათი ძირითადი სკოლების და თეორიების შესახებ; ათვითცნობიერებს პოლიტიკური სისტემების არსს; იცნობს პოლიტიკის მეცნიერების ძირითად თანამედროვე დებატებს;
3. ავლენს სოციალური კვლევის მეთოდების (თვისებრივი, რაოდენობრივი) შესახებ საბაზო ცოდნას;
4. კრიტიკულად აანალიზებს პოლიტიკურ პროცესებს, ძირითად კონცეფციებს და თეორიებს;
5. შეუძლია პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი თეორიებისა და მეთოდების გამოყენებით, ძირითადი პოლიტიკური პრობლემების/ფენომენების/მოვლენების იდენტიფიცირება, შეფასება (მათ შორის, ღირებულებით ჭრილში) და ინტერპრეტაცია რელევანტური ინფორმაციის/მონაცემების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ხელმძღვანელობის ფარგლებში;
6. ეფექტურად იყენებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის ფორმებს, იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს;
7. გეგმავს და მართავს საკუთარ სასწავლო პროცესს და იყენებს შესაბამის რესურსებს;

პროგრამის სტრუქტურა

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:

თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი

- შესავალი თანამედროვე აზოვნებაში I, II - 12 კრედიტი
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი
- სტატისტიკა - 6 კრედიტი
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები - 24 კრედიტი
- შესავალი კურსები კოდით INTRO – 24 კრედიტი

ძირითადი სწავლის სფერო- 120 კრედიტი

- პოლიტიკის მეცნიერების სავალდებულო კურსები კოდით SOCPOL/0/0 - 42 კრედიტი
- პოლიტიკის მეცნიერების სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით 0/SOCPOL/0-მინიმუმ 48 კრედიტი;
- პოლიტიკის მეცნიერების არჩევითი კურსები კოდით 0/0/SOCPOL- მაქსიმუმ 30 კრედიტი (აღნიშნული 30 კრედიტის არჩევა შესაძლებელია პოლიტიკის მეცნიერების სავალდებულო-არჩევითი ბლოკიდანაც)

დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

სწავლების მეთოდები

- ლექცია
- სემინარი
- პრაქტიკული მეთოდი
- ანალიზისა და სინთეზის მეთოდი
- პროექტები
- დემონსტრირების მეთოდი
- დისკუსია/დებატები
- რეფლექსია
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა
- ელექტრონული სწავლების ელემენტები
- შემთხვევის შესწავლა

შენიშვნა: პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

შეფასების წესი

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების დეტალური სისტემა, შეფასების მეთოდების, კომპომენტების და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაწერილია კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციაში.

დასაქმების სფეროები

- საჯარო დაწესებულებები (აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, მათზე დაქვემდებარებული სამსახურები როგორც ცენტრალურ ისე რეგიონულ დონეზე, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოები);
- შესაბამისი პროფილის ორგანიზაციები არასამთავრობო და კერძო სექტორში;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;

- მასმედია;
- შესაბამისი პროფილის აკადემიური და კვლევითი ორგანიზაციები.

შენიშვნა: პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
• სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი“; • სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (მათ შორის ელექტორნული ბაზები, როგორიცაა: JSTOR, EBSCO, Taylor &Francis და სხვა); • უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები; • სალექციო აუდიტორიები; • უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი; გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.